აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
7 თებერვალი, 2022

დადგენილება №29(21/22)
აწსუ პროფესიული პროგრამების სტუდენტებსა და მსმენელბთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ

აწსუ პროფესიული პროგრამების სტუდენტებსა და მსმენელბთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმები დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

ხელშეკრულება № .... პ .....
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების შესახებ
ქ. ქუთაისი

.... 20..... წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით - უნივერსიტეტი), მისი რექტორის, პროფესორ როლანდ კოპალიანის სახით, მოქმედი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ .... (შემდგომში - პროფესიული სტუდენტი), პირადი ნომერი ..... მცხ.: ქ. ....., ... **ქუჩა, №.....,** ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. უნივერსიტეტი „პროფესიული განათლების შესახებ" კანონისა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩარიცხავს პროფესიულ სტუდენტს - ..... (..... **დონე)** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად. პროგრამის სწავლება ითვალისწინებს დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისებას შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის. პროფესიული სტუდენტის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის № 244 დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 2. უნივერსიტეტის უფლებები და ვალდებულებები

2.1. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტი ყველა სახის საგანმანათლებლო მომსახურებით ..... პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. თუ ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეუწყდა ავტორიზაცია და/ან გაუქმდა სტანდარტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები შესრულდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებაში ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესის და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

2.3. უნივერსიტეტი აწვდის პროფესიულ სტუდენტს ყველა სახის ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურების მიღებასთან. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე. გასცემს მასზე შესაბამის დოკუმენტებს, რაც ადასტურებს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვასა და სწავლებას;

2.4. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ დააგროვებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობას, მას ენიჭება ..... (..... **დონე) პროფესიული** კვალიფიკაცია და უნივერსიტეტი ვალდებულია მასზე გასცეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი.

2.5. უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტს აძლევს საშუალებას ისარგებლოს უნივერსიტეტის ყველა იმ რესურსით, რაც უკავშირდება სასწავლო პროცესს და აუცილებელია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევისათვის, დადგენილი წესების შესაბამისად.

2.6. უნივერსიტეტის უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას დადგენილ ვადებში შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულებით.

2.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტისგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იქნა პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედებით.

2.8. უნივერსიტეტის უფლებამოსილია შეწყვიტოს ან შეაჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების, ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

3.1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება, წინამდებარე ხელშეკრულება, უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და სხვა შესაბამისი აქტები, რომლებიც არეგულირებენ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს.

3.2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სათანადოდ შეასრულოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული მოდულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3.3. პროფესიული სტუდენტი ასრულებს ..... პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სწავლების საკრედიტო სისტემის გამოყენებით და ვალდებულია დაადასტუროს ყველა ის შედეგი, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამის მოდულებით. სწავლის პერიოდში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს დადგენილი კრედიტების რაოდენობა.

3.4. პროფესიულ სტუდენტთან, პროფესიული სტუდენტის სტატუსთან (მათ შორის, უნივერსიტეტთან ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა) დაკავშირებული ყველა საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

4. სწავლის საფასურის ოდენობა, დაფინანსების წყაროები და ანგარიშსწორების წესი

4.1. პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებისას დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

4.2. პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებისას სწავლის საფასური ირიცხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგარიშზე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პროფესიული პროგრამის შესაბამისი მიღების ნაკადის განხორციელების ხანგრძლივობით. ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიული სტუდენტის ..... პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების გაფორმების დღიდან.

6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს ერთ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების მიზეზით, რითაც დაირღვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.2. პროფესიულ სტუდენტის ინიციატივით ან მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მას გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დამატებითი პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ინახება უნივერსიტეტში, ხოლო მეორე გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან დამატება ფორმდება წერილობითი შეთანხმებით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან დამატება, რომლის აუცილებლობაც გამომდინარეობს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებიდან არ საჭიროებს მხარეთა შორის წერილობით შეთანხმებას და მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით დადგენილი ნორმებით.

8. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა

თანხმობას ვაცხადებ აწსუ-სთან სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში აწსუ-ს მიერ დამუშავებული იქნას ჩემი პერსონალური ინფორმაცია აწსუ-ს საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის 59
საბანკო რეკვიზიტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057289

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი რ. კოპალიანი

(ხელმოწერა)

ბ.ა.

პროფესიული სტუდენტი:

(ხელმოწერა)

ხელშეკრულება № ... პ ....
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლების შესახებ
ქ. ქუთაისი

.... 20.... წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით - უნივერსიტეტი), მისი რექტორის, პროფესორ როლანდ კოპალიანის სახით, მოქმედი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ .... (შემდგომში - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი), პირადი ნომერი ..... მცხ.: ქ. ..... , ... ქუჩა № ..... ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. უნივერსიტეტი „პროფესიული განათლების შესახებ" კანონისა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩარიცხავს მსმენელს ---------- პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის გასავლელად.

მუხლი 2. უნივერსიტეტის უფლებები და ვალდებულებები

2.1. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მსმენელი ყველა სახის საგანმანათლებლო მომსახურებით ---------- ---------- პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისად. თუ პროგრამას შეუწყდა ავტორიზაცია და/ან გაუქმდა სტანდარტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები შესრულდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის ათვისებაში ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.3. უნივერსიტეტი აწვდის მსმენელს ყველა სახის ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია მის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურების მიღებასთან. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უნივერსიტეტში მსმენელის საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე. გასცემს მასზე შესაბამის დოკუმენტებს, რაც ადასტურებს მსმენელის ჩარიცხვასა და სწავლებას;

2.4. უნივერსიტეტი ვალდებულია მსმენელზე, რომელიც პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამას წარმატებით დაასრულებს, გასცეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - სერტიფიკატი.

2.5. უნივერსიტეტი მსმენელს აძლევს საშუალებას ისარგებლოს უნივერსიტეტის ყველა იმ რესურსით, რაც უკავშირდება სასწავლო პროცესს და აუცილებელია შესაბამისი პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის, დადგენილი წესების შესაბამისად.

2.6. უნივერსიტეტის უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას დადგენილ ვადებში შესაბამისი პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

2.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მსმენელისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იქნა მისი(მსმენელის) არამართლზომიერი ქმედებით.

2.8. უნივერსიტეტის უფლებამოსილია შეწყვიტოს ან შეაჩეროს მსმენელის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების, ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის უფლებები და ვალდებულებები

3.1. მსმენელი ვალდებულია დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება, წინამდებარე ხელშეკრულება, უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და სხვა შესაბამისი აქტები, რომლებიც არეგულირებენ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს.

3.2. მსმენელი ვალდებულია სათანადოდ შეასრულოს შესაბამისი პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამისა და ცალკეული კომპონენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3.3. მსმენელი ვალდებულია დაადასტუროს ყველა ის სწავლის შედეგი, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამით.

3.4. მსმენელთან, მსმენელის სტატუსთან (მათ შორის, უნივერსიტეტთან ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა) დაკავშირებული ყველა საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

4. სწავლის დაფინანსების წყაროები და ანგარიშსწორების წესი

4.1. მსმენელის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და/ან თავად ან დაინტერესებული პირი.

4.2. მსმენელის სახელმწიფო დაფინანსებისას სწავლის საფასური ირიცხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგარიშზე.

4.3. სწავლის საფასურის თავად მსმენელის ან დაინტერესებული პირის მიერ გადახდა წარმოებს პროგრამაზე მიღების ნაკადის გამოცხადების მიხედვით ნორმატიული აქტით განსაზღვრული სწავლის საფასურისა და გადახდის ვადების შესაბამისად, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების დამაკონკრეტებელი ნაწილია და რომელიც დასტურდება შესაბამის თანხმობაზე მსმენელის ხელისმოწერით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისი მიღების ნაკადის განხორციელების ხანგრძლივობით. ხელშეკრულება ძალაში შედის მსმენელის ---------- ---------- პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების გაფორმების დღიდან.

6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს ერთ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების მიზეზით, რითაც დაირღვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.2. მსმენელის ინიციატივით ან მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მას გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დამატებითი პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ინახება უნივერსიტეტში, ხოლო მეორე გადაეცემა მსმენელს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან დამატება ფორმდება წერილობითი შეთანხმებით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან დამატება, რომლის აუცილებლობაც გამომდინარეობს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებიდან არ საჭიროებს მხარეთა შორის წერილობით შეთანხმებას და მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით დადგენილი ნორმებით.

8. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა

თანხმობას ვაცხადებ აწსუ-სთან სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში აწსუ-ს მიერ დამუშავებული იქნას ჩემი პერსონალური ინფორმაცია აწსუ-ს საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის 59
საბანკო რეკვიზიტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057289

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი რ. კოპალიანი

(ხელმოწერა)

ბ.ა.

მსმენელი:

(ხელმოწერა)

შრომითი ხელშეკრულება №

--- ---------- 202... წ.

ქ. ქუთაისი

ერთი მხრივ, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი რექტორის როლანდ კოპალიანის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ, ---------- პ/ნ ---------- (შემდგომში-„დასაქმებული“) ხელმძღვანელობენ რა საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დებენ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი იღებს სამუშაოზე, ხოლო დასაქმებული თანახმაა აწარმოოს შრომითი საქმიანობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამ(ებ)ის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა, პროფესიული გადამზადების პროგრამა) განმახორციელებლად.

1.2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ასევე დამსაქმებელის შესაბამისი დებულებებით, ინსტრუქციებითა და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. დასაქმებული ვალდებულია:

2.1.1. საქმიანობისას იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, დებულებებითა და ინსტრუქციებით;

2.1.2. დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესითა დ ფორმით განახორციელოს ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული აქტივობები და შეავსოს დოკუმენტაცია;

2.1.3. განახორციელოს სასწავლო და მეთოდური მუშაობა;

2.1.4. უზრუნველყოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებების შესრულება, მათ შორის დადგენილი საათობრივი დატვირთვის და შრომის საზღაურის ოდენობის ცვლილებისას, თუ ასეთი გამოწვეულია დამსაქმებლის სტრუქტურული რეორგანიზაციით, სასწავლო პროცესის, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კონტიგენტის ცვლილებებით, ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით.

2.1.5. შეასრულოს ხელშეკრულების პერიოდზე ინდივიდუალური დატვირთვ(ებ)ით განსაზღვრული სამუშაო მოცულობა შესაბამისი აქტივობებით.

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომისა და სოციალური გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის, დამსაქმებლის წესდების, შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

2.2.2. დროულად გადაუხადოს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

3. შრომის ანაზღაურება

3.1. დამსაქმებელი დასაქმებულს შრომის საზღაურის სახით უხდის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ადმინისტრაციული აქტით, ბრძანებით, მასზე შესასრულებლად განსაზღვრული დატვირთვის(საკონტაქტო+შეფასება)-საათის შესაბამის ხელფასს:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დატვირთვის განხორციელებისას-ყოველ საათზე .... ლარის ოდენობით.
- პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დატვირთვის განხორციელებისას-ყოველ საათზე ..... ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების 2.1.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საათობრივი დატვირთვის და/ან ანაზღაურების ნორმის ცვლილებისას, დამსაქმებლის ბრძანების საფუძველზე, შესაძლებელია ცალმხრივად მოხდეს ხელფასის ცვლილება ამავე მუხლში მოყვანილი პროპორციის შესაბამისად, რაც არ საჭიროებს ცვლილებას წინამდებარე ხელშეკრულებაში.

3.2. ხელფასის ანაზღაურება ხდება ფაქტიურად შესრულებული დატვირთვის მიხედვით დაშვებული შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის, ბრძანების, შესაბამისად.

3.3. დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ ხელფასიდან დაექვითება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სათანადო გადასახადი/გადასახდელი.

3.4. ხელფასი გაიცემა, როგორც წესი, ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრული დატვირთვის, სამუშაოს შესრულების შემდეგ. ამასთან ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრული კონკრეტული დატვირთვის განხორციელების ხანგრძლივობის გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელების პროცესში დასაქმებულის, ობიექტური ფაქტორით განპირობებული დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გაიცეს ანაზღაურება მოთხოვნის დაფიქსირების მომენტისათვის ფაქტიურად შესრულებული საათების ფარგლებში.

3.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სამუშაოს სპეციფიკის, მოცულობის მიხედვით მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით და განისაზღვრება საათობრივად ლარებში. ზეგანაკვეთური მუშაობის ხელფასის კონკრეტული ოდენობები განისაზღვრება მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. შეთანხმება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

3.6. დასაქმებულის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის, დამსაქმებლის შინაგანაწესისა და სასწავლო პროცესის მოთხოვნების/საჭიროების შესაბამისად. სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული აქტივობების გათვალისწინებით სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 09:00 საათიდან 19:00 საათამდე და შესვენების დრო 2 საათი დღის განმავლობაში გამომდინარე სასწავლო პროცესიდან.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 202… წლის --- ---------- დან 202… წლის .... ივლისამდე.

4.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ასევე კანონმდებლობით, დამსაქმებლის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამსაქმებლის ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

5. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

5.1. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის ქონებრივი ზიანი მიყენების შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების სახით.

5.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

5.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

6. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა

თანხმობას ვაცხადებ აწსუ-სთან შრომითი სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში აწსუ-ს მიერ დამუშავებული იქნას ჩემი პერსონალური ინფორმაცია აწსუ-ს საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

7. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი	*დასაქმებული*
სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	----------
	(სახელი, გვარი)
ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59	----------
	(პირადი ნომერი)
რექტორი	----------
	(მისამართი)

	(ტელეფონი; ელ.ფოსტა)
---------- (ხელმოწერა)	---------- (ხელმოწერა)